

24
209



მათრასი

ქვეყნული
ბიულეტენი

და სალაშქრო

№ 28

ყოველ-კვირული, იუმორისტული ჟურნალი

მიიღება ხელის მოწერა 1910 წ.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „შრომის“ იტაშიაში, ბათუმში, სამტრედიიაში და ქიათურაში რეინის შაფებში, ქუთაისში ის. კვიციანიძისთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძისთან — წიგნის მაღაზიაში, თხურგეთში — მ. თალაკვაძისთან. დანაწენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული შემდეგ ადრესით:

Тифльзъ Типографія Т-ва „Шрома“ Василю Карамановичу Болвадзе



976

ფოტის მუხათა მახათ.

მას ტანსუტაციე ემოს, ზედ ხალტო მაუდ-მაღის, ფურხთ უღაზათო ჩეჭები შესაზარელი თვალის, ბონონის ქუდი მტერიათა ჭქონდა სარქმულად თავის იდგა და მუშებს იჭერდა მარათო კვ შიადგმა შავის. სხვაე ბეური მისინები მისებო მახანეთი ტანითა საკობრათ შიშხადებულნი, შკათხელო დიდი ხანით,

ანა ნაკლებათ მხსენებლენ რასმუღნი იმის განითა და შიადხენდენ ერთმანეთს ერამნჭულით და ბანითა. მაგანაშ უფრო ადექსი იჭერდა მოხერხებულათ, მუშებს აწყუდეგდა რტუბიკოშა. ჭკვიანად, გუშაკეულად, სხვები კი სრულად ცუდობდენ, რსებოდენ სასტად, რეულად და კუდ-ზრეულათ გარბოდენ რა თავსა გრანობდენ ძლეულად. ტლიცაქე.

ეშმაკის ინტერვიუ

პროვიზორ №-თან.

კარგა ხანია მესმოდა: ზოგიერთი თვლისელო პროვიზორი ძლიერ გულმხურვალებთ ეკიდება მოყვასთა თვისთა ზებედობას და თუ კი რამ გაეწყობა აღარ ზოგავს მეცადინეობას, ძალას და გამოცდილებას გაქვირებული კაცი ფეხზე დააყენოსო.

ჩემი ბუნებისამებრ, ძლიერ მძაგ გულკეთილი ადამიანი განუჩრეველათ სქესისა და საწმუნოებისა ჩვენს სიმპათიას ვერასოდეს ვერ დამისახურებს ასეთი გულ-ჩვილი ადამიანი და თუ ხელში ჩამივარდა, ვაი მისი ბრალი!

განა რა კაცია ის, ვინაც ჯოჯოხეთს ივიწყებს, ცხოვრების სიტყვს გაუბრძის და იქ, სამოთხის ლილოში უნდა მწვანებე იკორიბალოს??

ვერ ნივართვი!

გულმოსულმა შევადე აფთიაქის კარები, თუმცა ჩემი მრისხანება გულში ღრმათ მქონდა ჩამარხული.

— პროვიზორი № რომელი ბრძანდება აქა? მოკრძალებით ვიკითხე, რადგან ყველა საპატიო პირები იდგენ და მათში პროვიზორის გამორჩევა ერთბაშე ძნელი დარჩა.

— მე გახლავარ. ნახცვარ თავაზიანათ მიპასუხა დაზგასთან მომდგარმა შევეგრემანმა ქაბუკმა.

— თქვენთან პატარა საქმე მაქვს ბ-ნო, თუ შეიძლება.

— ინებე. მოდი!

— ჩვენ გავვლით პატარა ლამაზ ოთახში და დავსვლით შავი ტყავით გადაკრულ მოგრძო სკამზე.

— რას მეტყვი.

— მე ბ-ნო აფთიაქის შეგირდი გახლავარ, მოვეყვები წყნარათ და დალაგებულათ. ოთხი წლის პრაქტიკა მქონდა, მაგრამ იმ გაფიცვის ხანებში დამითხოვეს და მას მერე ასე უადგილოთ დავეხეტები.

— უჰმუ!

— მე მარტო რო ვიყო, ჯანი გავარდეს, რაც უნდა შეზღვედეს ყველაფერს ვაფუძლებ, გაქვირებაში არც ისე ხამი და გამოუცდელი ვარ, მაგრამ მამა არა მყავს, უფროსი ძმა ვადამისახლეს და ახლა მე დავრჩი ხუთი სული ოჯახის პატრონი.

— უჰმუუ!

— სადაც არ ვითხოვე ალაგი, ყველაგან ვარს მეუბნებიან: „ჩვენ პროვიზორის თანამშემუყვებიც პანტასავით გვიყრიოო“ და ქვე ვარ ასე ორ წყალ-შუა...

— უჰმუუუ!!!

— ახლა თქვენთან მომასწავლეს; თუ ისურვა

უთოლ გიშოვნის ადგილსუ დაქვეყნეს არის გთხოვ, რაც შემიძლია.

— უჰმუუუ!!!

— ჩემი, და ჩვენი ოჯახის ყოფნა არ ყოფნა ახლა თქვენზეა: თუ ინებებთ და დალუპავთ, დალუპეთ.

— მოუტყუებინარ ყმაწვილო, მოუტყუებინარ, ვინც ჩეთთან მოვასწავლა.

— როგორ? თქვენც ვარს მეუბნებით?

— მე არაფერსაც არ გეუბნები, მე მხოლოდ იმას გეუბნები, რომ ადგილის შოვნა ახლა ისე ადვილი არ არის, როგორც უწინ იყო, მეტადრე „უჩენიკისათვის“.

— მაშ რა ექნა, ხომ დამეხოცენ შიმშილით ძმები და დები? მიშველეთ რამე!

— აბა რა უნდა გიშველო, თითონ გასინჯე რა უნდა გიშველო. ახლა უიმიოთ აღარაფერი არ კეთდება. ისე წახდა დრო. მე რომ მქონდეს ადგილი ხომ იცი არ დაგიაკვებდი, მაგრამ ჩვენ ნორმაზე მეტცა გყავს. ის რომ გქონდეს ცოტა...

— ოთხი წლიწადი მიმუშავნია, განა ცოტაა?! სამი წლიწადი ცმარა, მე კი ოთხი დამიმრგვალეობა.

— მაგაზე არ ვამბობ!..

სახე გამინათლდა. ვხედავდი, რომ № შესახებ ცრუ ხმები გავრცელებიათ. მისი ორქოფი სიტყვები გულს სასიამოვნოთ მოხვდენ

— მაშ რაზე ამბობთ. რომ ვერ გავიგე? სხვა რა მაცლია, მართალია პროვიზორის თანამშემვის მოწმობა არა მაქვს, მაგრამ თითონვე დარწმუნდებით, რომ საქმეში ძლიერ დახელოვნებული ვარ.

— არ ვიცი აქ რა არის ვაუგებარი. საჭიროა ცოტა გროშები. თუ აფთიაქის პატრონს ცოტა გული არ მოვუღობთ, ისე საქმე არ გაკეთდება.

ახლა სხვა დროა ბიძი, სხვა დრო.

— მერმე სად ვიშოვო მე ფული, ან ვინ იცის რამდენი დასაქირდება?

— სულ ცოტა. საკმარისი იქნება სულ რაღაც ოცი თუმანი!

— მერთო ჩემო! ოც თუმანათ მთელ ჩემს ოჯახს არავინ იყიდის, რა ექნა, რა წყალში ჩავვარდებ.

— აქ წყალში ჩავარდნა არაფერს გიშველის. წადი, მონახე და თუ იშოვნო მომიტანე, თუ ვერა, ნურათ მოიხხარ.

— ენახათ!

ძლიერ მზიარული გამოვედი და მესამე დღეს 20 თუმანიურთ ვეახლე ჩემს კეთილის მუყაფელს.

— აი, ყოჩაღათ მოკცეულობარ, ეხლა შეიძლება მცირე იმედი ვიქონიოთ.

— მიშველეთ რამე, თორემ მეტის მოთმენა

აღარ შემძლია, ავღები და ვერის ხილიდან პირ-
დაპირ მტკვარში გადავშვები!

— ახლა შიში ნურაფრისა გაქვს. ამით ჩვენ
ფონს გავალოთ. ეს ფული მე დაბრჩეს და შენ კი
დროებით ერთ ჩემს მეგობართან წადი თელავში.
იქ ცხრა თვე დარჩები და შემდეგ შეიძლება აქ
გადმოგიყვანოთ.

— ეს როგორ შეიძლება! მე მეგონა თქვენ
სადმე აქვე მიშვიდით ადგილს, თორემ...

— ჩე დალოცვილო აქ რომ პრიაშათ ად-
გილში წავარდე ოკი კი არა სამოცი თუმანა
არ კმარა.

— რა ამბავია ბ-ნო, სამოც თუმანთ მთელს აფ-
თიქს ყიდულობენ ეს კაცები და მე ადგილი მინ-
და უბრალო მოსამსახურის ადგილი.

— თუ არა გჯერა ჩემო ძმაო, მიდი და იკითხე
სხვაგან. პროვიზორი ჩემს მეტიკას არის ამ ქალაქ-
ში. ნახავ სხვები როგორ დაგიფასებენ.

— წავალ ისევ ფარმაცევტებისა კავშირს ვსთ-
ხოვ. ოც თუმანთ ისინი კი გამიხებებენ რამეს.

— ვერც ათას თუმანთ, რამეთუ ასეთი სახე-
ლის არსება აღარ არსებობს ამ ვაშალ. ჩემზე უკე
თეს პირობებს დამერწმუნე ვერაფერ მოგცემს. წადი
თელავში და ცხრა თვის შემდეგ შეიძლება აქ გად-
მოგიყვანო.

— მოვიფიქრებ ამაღამ და ხვალ უთუოდ გაც-
ნობებ ჩემს გადაწყვეტილებას.

— ძალიან კარგი, მოიფიქრე მშვიდობით.

მე დიდათ ნასიამოვნები გამოვედი, რადგან
ახლა საბოლოოთ დავრწმუნდი, რომ ბ-ნ. ს. ცილ-
სა სწამებდენ მისი მტრები. მიხაროდა, რომ ჯო-
ჯოხეთს არ დაჰკარგოდა ერთი წვერი და ჩვენ,
ეშმაკებს, ერთი მეგობარი. ის ზედმეტ ჯოჯოხე-
თური ღირსება, რომელიც ფულის მქუან დაბრუ-
ნების დროს გამოიჩინა ბ-ნმა ს. მა, ყოველივე მო-
ლოდინზე მეტი დარჩა.

მადლობა ღმერთს, რომ თფილისის ფარმა-
ცევტა შორის ასე მტკიცე ყოფილა ნიადაგი ჯო-
ჯოხეთისა.

ეშმაკი.



* * *
(ერა საღამოს შოსაგანტო)


ვინ, ვინ დავმარბთ ჩვენ იმ საღამოს?
სამარის ჯურღმულს ვინ მივაბართ?
ვინ მივისვენეთ სასაფლაოზე
და შავი მიწა გულს მივაყარეთ?

სოქვი მეგობარო, პასუხი მომე,
აჰა, ავტირდე, ვერ ითმენს გული!
მომხედე მალე, მომეხმატბილე,
სიტყვა მასმინე კვლავ მეგობარული!

გულდათუქულნი რა მივდიოდით
ვისი ცხედარი მიგვეკონდა თანა?
ვინ იყო მაშინ ბნელ ხეხუტიდან
რა ამოგვძახა სახარი ნანა?

„მოკვდა, მოკვდა“ ო! ვისთვის ამბობდა,
რათ გამკოიდა ის სახარელი?
„აჰო, ამინო“! რათ დაემოწმა
იმგვარ დაძახილს მინდორ-ტყე-ველი?
სოქვი მეგობარო! შენ იცი ის!
ხვეწნა ისმინე, გულს მომეფონე
და წრფელის გრძობით ერთგულ-მეგობარს
თრთოლვით მომხედე, გულს ჩამეკონე!..

ვ. მალაქია შვილი.



დექე შეგი

(გურიის საგანტო).

ოზურგეთი. „პედაგოგი“ ტუქ-ასლიძის მეთა-
ურობით სამოქალაქო სკოლაში საშობოთ გიმიარ-
თება „შობის ხე“ (იოლკა) დაესწრება სკოლის
ყველა თექვსმეტი მოწაფე. ინსპექტორის მეგობ-
რებმა შომოსწირეს მათრახები და სხვ. ლე-
ვიცკის კურსები (წიგნია) და სხვ.

ლანჩხუთი. პოლიციამ შეიპყრო სამი საშიშარი
ავაზაკი—ექსპობრიატორი. ბრალდებათ მოპოქნიკე
ქალების მედღენზე თაქდასხმა და ხაჰაურების წარ-
თმევა.

ჩიღღანვე. ერთი დარბაისელი ქალი ამ დღე-
ებში ლექციას წიკითხავს—„ორსულობაც და მის
ასაცდენ საშვალბათა“ შესახებ. შინაარსს და ლე-
ქტორის ვინაობას შემდეგ გაცნობებთ.

ოზურგეთი. მხადღება სოფელში მიმოლაკავი მელოლოვე სადღესასწაულო ვეზუკუცია — შემდგარი სტრატენიკებისაგან.

ნაგომარია. „შემნახველ-გამსესხებელი“ ამხანაგობის გაკორტებულნი წყვრები პრემიას ნიშნავენ ვინც აღმოაჩენს 300 მანეთის გამფლანგველს.

ოზურგეთი. წმ — და სანთლის რევიზორსა მღვდელმა, თურმე შემდეგი დიპემა გააგზავნა: «ВЪ СИЛУ КРЕСТЯНСКАГО БРЕНТУ СВЕЧИ ВЪ ЦЕРКВАХЪ НЕ ПРОДАЮТСЯ».

აკნტი დაკვამაქ.



გურული სცენა.

(ქალთა ზანგაი დახსუთში)

— ნეტაი რა ამბავი იყო გუშამ მიხელა ასკურავას სახლში? შუალამეზე გამევიარე სტანტიონდან, იმისანი ტკარცალი იყო, სიმღერა, ხუნტრუცი, გიტარა, დაირა და ბუზიკა სირსეილა ლობიოსავით იყო ერთქამეთში ასეროი, ორ ვერსზე გვიგონებდი შენ კი გეცოდინება რა შემთხვევა ქონდა, მისი ახლო მეზობელი ხარ?

— რა იყო და ქალების ამოგდება იყო, იგინის ფეხის ვაცხება იყო, იგინის სულის ამოხთენა იყო; ქალები მიდღემში თავადგებულები იყვენ, მარა მერე თლა ივადეს თავი, ჰრობაგანდისტს რომ მოკრეს ყური—ქალი და კაცი თანასწორიო. კვი დაგემართოს თანასწორობა კიათ, კაცი უქალოთ არ ვარგა და ქალი უკალოთ, მარა ყორიფელს მიხთენა და შეგნება უნდა; ჩვენს ქალებს ყორიფელი უკულმა ესმინა. ხომ იცი, გუშამ კაცებმა „ბალნიცა“ რომ აკურთხეს, დაბაიჯეს ვეზდის ნაჩანიკი, მარშალი, დოხტური და სადილი გააკეთეს—ამ სადილზე არც ერთი ქალი არ დუბაიჯებინა. გაკუქდენ ქალები, იხუეს, მარა რაფერ იხუეს, ვინც იყო კაცი სადილზე, საღამოს ყველას წაანკალეს, ბოიკოტი გუჟკეთეს; მეც ძალიანი გამიწყრა ჩემი ფოსინე — დამბთა ნაცარში მგლოვიარესავით ჩამედარი, წიგუკულუმბურებია ცხვირი, დანა პირს არ უღებდა, არ დამიგო, არ დამახურა.

— ერთ დღეს გაწყტით კაცებია, ასე მითხრა,

თქვენ რომ გინდათ მაშინ თუკი ვაგახსენდებით, ისეც უნდა ვახსოვდეთო, თქვენ იქვე იყავით, თვალი ვააქუროთ, ჩვენ კი ნაცარში უნდა ვვდლოთ, თუ ქალები ვართ, მაგიორს კი ვადაიგინდითო. დაგვექაღენ და კიდევ ასარულეს.

მეიყარეს თავი, შვკრეს პირი და ვადაწყვიტეს იგინსაც ექვიევა, მარტვი ქალებს უკაცოთ. დოხტურის მაგიორ ბუჟერკია დაბაიჯეს, ვერდის ნაჩანიკის მაგიორ პრისთავის ცულო, ამეიყენეს სასუქთაგან ამ მარხავაში საკალანდო დედლები, გამუქხვეს ხაჰაურები, ვაგვამწარეს ვაგვაშხამეს, ჯიბე გამოგვიცარიელეს, შვიყარეს თავი ორმოცდა ხუთმა ქალებმა და იმ სახლის პირდაპირ საცხა ჩვენ სადილი გვექონდა, იგინმა ვახშირი ვამართეს. ვირჩიეს ტოლომბაში. — პირველით თურმე დასწყველეს კაცები, გამუქხვადაეს პროტესტი და შეუცკეს თურმე ერთქამეთს, რომ ყველაფერში მიბაძონ კაცებს. მერე შეიქნა თურმე ქვიფი. იმღერეს, ირერეს, მადლობა დემრთს არ დამთერალარიან, თვარა სხვია აფერი მუუკლიან. ვათენებამდი იყვენ ერთ ამბავში. მარა არც საზოგადო საქმე დევიფიყეს თურმე და ვადასწყვიტეს, ტუატრი ვაგავეთოთო.

— ტრიატრს თუ ვააკეთებენ, კას იზენ, მარა რაცხა სიხზარი მკონია, კვი რამე ვააკეთონ ჩვენმა ქალებმა...

პიტნა.

შენა ხარ მეგობარი?

(გუქდგნა ა. ბ.—ქს)

ქირში ვიყავი, რომ შეგხვდი, „მშია, ძმავ“ თქო ვითხარი, მოიხუშე—გეწყინა, შენა ხარ მეგობარი?! „წამოდიო“ ძლიეს მითხარ, ვერ გამიბეღე ვარი... სიტყვით „ძმა“ ხარ, საქმით კი... შენა ხარ მეგობარი?! „ვხუმრობ“ მეთქი მოვიგე „ძალზე ვარ გამაძლარი“, კუქი კი მიხმებოდა.. შენა ხარ მეგობარი?! სიხარულით გამშორდი, არ მოვკალდა „ქანქარი“ რომ მშობდა იცოდი, შენა ხარ მეგობარი?! რათ ყვიროდი ნეტავი: „მოესკეთ ტანჯულებს მხარი“? ტანჯულს, ხომ გვეღღე უზვევ... შენა ხარ მეგობარი?!

ს. ქერაძე.

პატარა კომედია.

მოქმედება მეორე.

(მოქმედნი პირნი, სენე და სხვა პირობები იგივეა, რაც პირველ მოქმედებაში, რომელიც არ დაწერილა და არავინ იცის. იცლება მხოლოდ თავმჯდომარე. ფარდა ახდის ა მარჯამ მინც ქდება და არა სენეს არამედ სენენაზე მყოფთა მოქმედეს.)

გამოსკდა ზირკულა.

(იგინივე და თავმჯდომარე.)

თავმჯდომარე. ბ-ნებო! პირველ მოქმედებას ვერ დავესწარი, გვიგე მხოლოდ, რომ ჩვენს გამგეობას საყვედური შეხვედრია; მე მართალი მოგახსენოთ არ მომწონა ეს. ან კი თქვენ თითონ გასინჯეთ: როგორ არ უნდა მეწყვილოს, როცა ჯერ ერთი წლისაც არა ვაბთ და აქედნი ბოროტ-მოქმედობა აღმოვაჩინეთ. გვაცალეთ ბ-ნებო, გვაცალეთ და მერმე გვისაყვედურეთ თუ მეტი ვერ აღმოვაჩინოთ. (ხალხიდან: მერმე გვიან იქნება!)

თავმჯდომარე. გთხოვთ ნუ მიშლით... ჰო-ღე, ჯერ ჩვენ არ გვეთქმის საყვედური და ესეც არ იყოს საყვედურის ვინ გაბედებ? განა არ იცით, რომ ყველა გამგეობის წევრი ვარემე საქმით არის დატვირთული და საზოგადოებას მუქათ ვისახურება?..

ოპოზიცია. ჩვენ სამომენტებით მოვიხსინეთ ბ-ნი თავმჯდომარის სიტყვა ვამგეობის მოღვაწეობის შესახებ; მართლაც არავის არ უსაყვედურისა ვამგეობისთვის უმოქმედობა, მაგრამ ვერც იმ აზრს მივიტოვებ, რომელიც აქ ბ-ნმა თავმჯდომარემ წარმოსთქვა. თავმჯდომარის აზრით ბ-ნებო, ვერავინ გაბედავს უსაყვედუროს უჯამგეობის გამგეობას უსაქმობა-დაუღღერობა. ეს აზრი შეუწყნარებლათ მიგვაჩინა. ჩვენ ვიცით სხვა სამსახური..

თავმჯდომარე. უკაცრავით ბ-ნო ორატორო, მე ვგრე არ მითქვამს... (ხმები ხალხიდან: თქვით, თქვით!..) შეიძლება ვთქვი, მაგრამ ასე არ მიხდოდა... **სამსონ ფირცხალავა.** კი თქვა ბ-ნებო, მარა მეგ აზრით არ უთქვამს.

ოპოზიცია. ვკმაყოფილებით მეგ განმარტებით. **თავმჯდომარე.** ეგ მე მომწონს! ახლა შევედგეთ საქმეს! მდივანი წაიკითხავს ანგარიშს მუხლებათ. მოუსმინეთ.

მდივანი. პირველი მუხლი ბ-ნებო, მე 38 გვერდზე, შეებება წევრობას და საწევრო ფულებს ანუ გადასახადს;

ოპოზიცია. ბ-ნებო! ყველა ნათლათ ვხედავთ ამ მუხლიდან, რომ ჩვენს საზოგადოება „ქან-შინ-წილ-კან-ვან-სან“-ით თითქმის სამარის კარათ მიმდგარა! როგორც ანგარიში გვეუბნება, საზოგადოებას

ყოლია ორასი წევრი, აქედან გასულია ორასი სამოცი წევრი და დარჩენილია სამასი წევრი... **ხმა ხალხიდან.** ეს ალბათ ლუარსაბის შედგენილი ანგარიშია .. ეგ უშუქლებელია.

ლუარსაბ ბოცვაძე. ბ-ნებო მე აქ არაფერ უფაში ვარ, მართალია გამგეობის წევრი ვახლავარ, მაგრამ ანგარიშის შედგენა უფრო მდინის ვალია.

ხმა ხალხიდან. უკაცრავით ბ-ნო, ჩვენ ლუარსაბ თათქარიძე მოგახსენებლით...

ლუარსაბ ბოცვაძე. კმაყოფილი ვარ! **თავმჯდომარე.** გთხოვთ დამშვიდდეთ! განაგრძეთ.

ოპოზიცია. ამ ანგარიშის ძალით ორმოცი კაცი არა წევრი უნდა გასულიყო საზოგადოებიდან, მაგრამ ეს ვაუტვბრობა იხსნება იმით, რომ ამავე საანგარიშო წლის განმავლობაში შემოსული სამასი წევრი. რა არის მიზეზი რომ წევრები ასე ფეხმარდათ ვარბიან და კოკულობით შემოდინარ? ჩვენი აზრით ამის მიზეზი არის საწევრო გადასახადი. სამი მანეთი დიდი ხარკია უბრალო ხალხისთვის, საქიროა საწევრო ფული ერთ მანეთამდე ჩამოვიყვანოთ.

გამგეობა. ბ-ნებო, ჩვენც ვხედავთ ამ უნუგეშო მდგომარეობას, ვხედავთ რომ ეს სახალხო დავსებულება სრულიად მოწყვეტილია ხალხს, ვიცით რომ ამაში წილი უძევს საწევრო ფულის სიდიდესაც მაგრამ ..

ქაიხოსრო თავქარაძე. ბ-ნებო, ვერ წარმომიდგენია ისეთი ქართველი კაცი, რომელსაც წერა კითხვის საზოგადოების სასარგებლოთ სამი მანეთის გადახდა გაუჭირდეს. ვაცხადებ რომ ეს ვერ წარმომიღდენია, ვერა და ვერა ..

ხმა ხალხიდან. სამწუხაროა თქვენი წარმომადგენლობითი სისტემის უნუგეშო მდგომარეობა!..

ქაიხოსრო ქვათარაძე. გთხოვთ ნუ მიშლით! (სიცილი) ჩემი აზრით საზოგადოების უნუგეშო მდგომარეობის მიზეზის ვარემოება მდგომარეობს იმ უწყესობაში, რომელი წესრიგითა ჩვენში საწევრო სამი მანეთი გროვდება. მე იმ აზრს ვადგავარ, რომ ამ წესრიგის მოუწყობლობის მოსაწესრიგებლათ საქიროა ვაუშჯობესდეს ფულების მოპოვების საქმის ვარემოების მდგომარეობა და დაწესდეს ცალკე „ბოიჩუკები.“

გიორგი ლახხიშვილი. ჩვენ ბ-ნებო 1901 წელშიაც იმ აზროსანი ვიყავით, რომ საქიროა საზოგადოების წესდების ზოგიერთ მუხლათა შეცვლა და..

ხმა ხალხიდან. ტყუილია, მაშინ სხვა ოპოზიცია იყო.

გ. დასხ. უალი. ახლაც ვწამს, რომ საწევრო ფულის შემქირება საზოგადოების ირგვლივ მოიზიდავს დაბალ ხალხს მაგრამ...

კობალეიშვილი. ბ-ნებო, მეც მსურს ორიოდ სიტყვა ვსთქვა საწვერო ფულის შემცირების შესახებ, რომელზედაც ახლა აქ აღძრულია კამათი და გვაქვს ჩვენ მსჯელობა და ბასი მევეცდები ამ შემთხვევაში სიტყვა არ ვავაგრძელო და მხოლოდ მოკლეთ შევხვი საგანს ე. ი. სულ მცირედ გავანათო ის საკითხი, რომლის შესახებაც უკვე გამოვსთქვეს აქ ჩვენმა ამხანაგებმა განსაზღვრული აზრი და რომლისთვისაც ახლის დამატება არაფრის შემძლია. მე მხოლოდ ვიკონიებ სახეში ერთ მოსაზრებას და შეძლებისდაგვარათ მოკლეთ შევხები მას, რომ ამ-ნაირათ უკვე გამოთქმული აზრები აღარ გავიმეორო და თანაც ამ ნათელისა და ყველასათვის აშკარა კითხვაზე სიტყვა არ ვავაგრძელო.

თავმჯდომარე ძალიან დავგვალებთ, თუ მართლა არ გააგრძელებთ. (სიცილი)

კობალეიშვილი. ვეცდები ბატონებო, რაც შეიძლება მოკლეთ შევხვი ამ საგანს და სიტყვა არ ვავაჟინაურო, რადგან ამის შესახებ უკვე გამოითქვა აზრი და ჩემის აზრით საქირო აღარ არის აქ კრებას თავი მოვაწყოთ.

თავმჯდომარე. უთქვენ მომხრე ხართ შემცირების თუ არა?

კობალეიშვილი. დიან მე მომხრე ვარ სამი მათგანის შემცირებაზე.

სამ. მაჭავარიანი. თუ რა მნიშვნელობა აქვს საწვერო ფულის შემცირებას ეს მე კარგათ ვიცი, მაგრამ ეს შემცირება სასარგებლო იქნება მაშინ, როცა ჩვენ შეგვეძლება სადღეუბნო კრების მოწვევა. შეიძლება ახლაც ბევრი ხალხი მოიზიდოს მაგრამ...

კარიჭაშვილი. მეც ის მაშინებს ბ-ნებო, რომ თუ ამ საწვერო ფულის შემცირებით საზოგადოებას ხალხი მოაწყდა სადღა დავატიოთ? ამიტომ ერთის მხრით კარგია საწვერო ფულის შემცირება მაგრამ...

პეტრე სურგულაძე. სხვა დროს და სხვა პირობებში ჩვეთთვისაც ცხადი და სასურველია წესდების შეცვლა და საწვერო გადასახადების შემცირებით დაბალი ხალხის მოზიდვა, მაგრამ...

მამ. გუდუვალიშვილი. ბ-ნებო, ვინ არ იცის, რომ გამგეობაც და ყველაც მოსურნეა საწვერო ფულის შემცირების, მაგრამ გავიხსენოთ „საბავშვობა-ლის“ ისტორია და სხვა მრავალი. დღესსინდელი დროა ბ-ნებო რომ უნდა უთუოთ ჩუმათ ვიყოთ, სულთქმაც მივისუსტოთ*) თარეშ...

*) აქ უკვე განახსენდა ორიგენალის ამბავი: ისინი თურმე გზად მოდიოდნენ და ერთმანეთს შეგებობდნენ ეფიცი-ბოლ-6. უკებ დათვი დანიახეს, ერთი ფეხ მარდი იყო, მია-

თავმჯდომარე. გთხოვთ წარმოადგინოთ რეზოლიუციები, საწვერო ფულს... შემცირებას შესახებ.

ქაიხოსრო ქავთარაძე. ინებეთ (კითხულობს) „ვინაიდან ფული კარგათ არ გროვდება, საქიროა, „მოჩივები.“ (საერთო სიცილი.)

ხმა ხალხიდან. გააგებოთ ბ-ნს ქავთარაძეს, რომ მისი განცხადება სრულიად არ ენება საწვერო ფულის შემცირებას.

(გ. ლასხიშვილი თითს უქნევს და ქავთარაძეც მხოლოდ მაშინ რწმუნდება ამაში. ვინაც წერა იცის ყველა ადგენს თითო რეზოლიუციას.)

გამოსვლა მეორე

გამგეობა. ბ-ნებო, გამგეობა „ქანონწილკანგან სანისა“ საქიროთ სკნობს კენჭი უყაროს თავის რეზოლიუციას: „სასურველია თუ არა საზოგადოების წესდების შეცვლა.“ (ფ. გოგიაშვილი ქვეშევს იცის)

ხმა ხალხსა. ეგ ძალადობაა, აქ ლაპარაკი იყო წესდების ერთი მუხლის შესახებ...

გამგეობა. ჩვენ ასე გვსურს.

ხმა ხალხსა. ეს ძალადობაა, შიშველი ძალადობა!

ოპოზიცია. ჩვენ მოვითხოვთ კენჭი ეყაროს მხოლოდ ერთი მუხლის, საწვერო გადასახადის შეცვლას!

გამგეობა. ჩინ ეს არა გვსურს.

მოხუც კანაფანაღლი. ჩვენ ეს არა გვსურს.

დამხმარებელი ჩინოვნიკი. ჩვენც ისე გვსურს როგორც გამგეობას.

ქაიხოსრო ქავთარაძე. (ჯერ შეხედავს ლასხიშვილს) ჩემი აზრით ასეთია.

ოპოზიცია. კი მაგრამ ეს ძალადობაა, ეს საქმის ლაღატი.

თავმჯდომარე. ჩვენ ასე გვსურს. მოსუბინეთ მღვიანს!

ხ. ფარცხაღავა. ვიწყებ კენჭის ყრას. ვისა ჰსურს წესდების შეცვლა და ვის არა. (კითხულობს) ფ. გოგიაშვილი? — არა. პ. სურგულაძე? — არა. კარიჭაშვილი? — არა. კნიაქნა თეკლე? არა მსურს. ბ-ნო ოპოზიცია? — პროტესტს ვაცხადებ ძალადობის წი-

ტოვა ამხანაგი და გაიქცა. მეორე აღბათ მოიკლებდა, დაწვა იქა და სულ განაბა. დათვმა დაეყურადა, იფიქრა მკედარიოლა მოზორდა, ამის დამნახველი გაქცეული ამხანაგი მობრუნდა და ჰკითხა კოქლასრას გიფურჩულდა ყურში ის დათვით! კოქლა უნახუბა: დათვმა მიზნის კარგს იხანა წ. კ. საზოგადოებაც შენ მიგბაძავეს და სულს განაუადესს. *
გშეაკი:

ნაილმდევ. ვანო კვალამე? — მონაწილეობას არ ვი-
ლებ, პროტესტს ვაცხადებ გამგეობის ძალადობაზე.
კნაიენა დარეჯან? არა მკურს. (ხალხში უკმაყოფი-
ლება მატულობს, ხოლო გამგეობის წევრთა შორის
სიცოლი.)

მადეანა. კენქის ყრა გათავდა. წესდების შეც-
ვლა კრებს არა სურს.
(დიდის მხიარულებით კრება იშლება და ხალ-
ხიც წაიღწამოდის, მესამე მოქმეობება კვირისთვის
გადაიდო.)

ეშმაკი.



გასართობები

სასწავლებელ შა. (რუსულიდან.)

გეოგრაფიის მასწავლებელი ეკითხება მასწავლებს:

— ჩოყლაყაყე, აბა მომინახე ქარტაზე ქ. მოს-
კოვი?

მოსწავლემ დიდხანს ამოდ ეძება, ბოლოს სახე
გაუბრწყინდა და წამოიძახა.

— კინაღმ დამავიწყდა, ბ-ნო მასწავლებელო,
მოსკოვი აქი ნაპოლიონის დროს დასწევს!

ქართლის ერთ-ერთ სოფელში მასწავლებელი
მეტისმეტათ განვითარებული კაცი იყო და ბევ-
შეგბესაც ხელს აღარ აკლებდა.

ერთ დღეს კარგ ხასიათზე იყო და იკითხა:

— ვინ იცის რა არის უფასო სამკითხველო?

— სამკითხველო ბატონო, სასაფლაოს ქვაზე რომ
სწერია იგია, მიუგო ერთმა.

— დაჯექ ვირო, შენ თქვი ტურაქვე!

— სამკითხველო ბატონო რომ დაახველებ იგია.
მიუგო მეორემ.

— დაეღვე ჩერჩეტა!

— სამკითხველო ბ-ნო ისეთი სახლია, სადაც
მკითხავეები სხედან და ხალხს უფასოდ უკითხავენ.

— ყოჩაღ. დაჯექი.

პროვოკაცია. (სატრაპ.)

დუმაში შპიკი შეძვრა.

— პატრიცემულონო წარმოამადგენენო! ხომ ხე-
დავთ როგორ გიშლიან ხელს ეგ ეურნალისტები?
გადადობენ მოაჯირით, რომ ვეღარაფერი დაგაკ-
ლონ.

დაუჯერეს და გააკეთეს მოაჯირი...
— საყვარელო დეპუტატებო! გენგროსი შპიკმა,
მოაჯირი რა თქმა უნდა ჩინებული რამეა, მაგრამ
ეურნალისტები თქვენ გზაშია და გაიქვერენ. მოდი
დამიჯერეთ და ნულარ გამოდინხართ დუმიდან გა-
რეთ.

დაუჯერეს და დაიწყეს დუმაში ცხოვრება.

— ძვირფასო დეპუტატებო! ეგ ყველაფერი კარ-
გი, მაგრამ თქვენ ლაპარაკი ხომ შეგიძლიათ და
ეურნალისტებს მეტი რაღა უნდათ? მოდი დაიგმა-
ნეთ პირები.

შეშინდენ დეპუტატები და პირი მჩერებით გა-
მოიტენეს.

— სულზე უტკბესო დეპუტატებო, მეშინია ვინ-
მე თქვენგან შინ არ გაიპაროს. მოდი ტოპარაში
ან გულაში გამოგხვევ და სადმე თფილ კუთხეში
დაგაწყობთ.

დეპუტატები შეცდნენ, დაეთანხმნენ.

და როდესაც გულაში გამოხვეული დეპუტატები
შპიკმა ერთ თფილ კუთხეში მიაწყო, გულიანათ გა-
დაინახარა და დაიძახა:

— აი შეხედეთ, ჩვენში პარლამენტი აღარ არისო.

დ ე ტ ე შ ე მ ი.

(საქართველოს საჯეტო)

ყვირილა. დეპუტი დაარსდა „ახალგაზრდა
მსმელთა ჯგუფი“, ვასილიკას წინამძღოლობით.
ყველა სასმელებს ბლომათ „მოირთმევენ“, გარდა
თქვენი „კულნისა“. ნუ დამაღლით.

იქიდანვე. ტრიფო მღვდელმა ხალხი ძლიერ
მოიმაღლიერა, რადგან ვადასახადს ხელზე კი არა
სთხოვს, არამედ ხაზინის საშვალეობით.

საჯგაზხო. სიცრუე გამოდგა თითქო „გრუ-
ზებზე“ პასიერების ძებნის დროს ბ-ნ შენგელაიას
ფეხი გაუსხლტა და დაზიანდაო, პირიქით, ის ჯერ
უფენბლით არის და ერთგული სამსახურისათვის მო-
ელის ხახვის მენდალს პრასის ლენტზე.

იქიდანვე. სიცრუეა აგრეთვე ბანკის შესახებ
გაკრედიტებული ხმები. ის არ დაუსაფლავებიათ.
ჯერ-ჯერობით საჯაოხოში ასვენია და გამგეები
ყოველ პარასკეობით პანაშვიდს იხდიან.

აბაშა (გურია) აბაშის საზოგადოება ეძებს
იმ პირებს, რომლებმაც კეთილ ინებეს და „ში-
ლეს“ საზოგადოების მიერ გადახდილი 120 ქანქარი
სამკითხველოს დასაარსებლათ.

ჯოჯობეთელი

სამტრეაზო. ოთხი დღეა, რაც ფოსტის ეზო-
ში ბოთლი არ გატეხილა და ამის გამო სიუწარეც
დილია. ახლო-მასლო მემზობლები მოსვენებით გრძნო-
ბენ თავს.

იქიდანვე. სადგურის უფროსმა დაადგინა: კვირეში ხუთმეტჯერ გაათბოს და კლასის დაბრაზები.

რაონი. ჩვენ ამის შესახებ უკაცრავთ გახლაფათ.

ყვიარია. სამსახურიდან გადაყენეს რკინის გზის ლიანდაგის მოხელე ჩაფიძე. გადაყენების მიზეზით ასახელებენ იმას, რომ ჩაფიძეს ძლიერ დიდი მუცელი ჰქონდა და რკინის გზაზე ვერ ეტეოდაო.



მ მ ს ტ ვ ი რ უ ლ ი .

(ბათუმისთვის)

დაუკარ ჩემო ქამანჩაე
მოყვეი შენებურათო,
ვიართო კიდევ მე და შენ
ძველი გზით, ისევ ძმურათო, —
მტრებისა გულოს საკლავად,
მოყვრების სამსახურადო.
ლაშქრად მაქვს სტვირი ქებული,
ბნელი გზის სანათურადო
და იარაღად მათრახი,
ზურგების გასახურადო.
მინდა ერთ ბანაკს, შორიდან,
ჯერ ისე წავაყურადო
და შერე შიგან ვიახლო
მათრახით უწაწურადო.
სად უბადრუკნი შეყრილან,

სახტომად, საფხაქურად და
და შიგ არაფის ცხველებს
აქციეს ბორ-არტურადო.
სადაც კატები კატობენ,
ქანიან უმპაყრადო,
მაჩვი და დათვი მოსულან,
ძუნწები და უპურადო,
ტურა ერთია, რა ვუყოთ,
მელა ღირს ოთხ ხუთ ტურადო
შუაში დასკუპებულა
მოხდენით ოსტატურადო.

(კლოკი რომ ჩამოიტანა
ბეჭებზე მოსახურადო,
ოდეს ქაბეთი მოვლო და
ვერა რა ილო ყურადო)
მას ყველა ფეხებს ულოკავს,
კრძალვით, რიგ-რიგათ ყმურადო
შევაღე კარი შევედი
მოულოდნელით, სტუმრადო
მოემართე იგი მათრახი
შესულმა, ამაყურადო, —
ვუცხუნე, ვისაც უწია
შეერგოს ხაჭაპურადო
და შემდეგ შიაც ვეცდები
არ დავრჩე უმაღურადო.

და აწ შენ, ჩემო ქამანჩაე,
შენ აღარ გინდა ქებოა,
კოტა რომ კიდევ რამე ვიქვა,
ეს შეტი არ იქნებოა,
ან და, გაფრუდეთ, სჯობია,
დღეს ყველა არ ითქმებოა,
ლაყობას შემოგვწამებენ,
სხვა ფერად აიხსნებოა;
თანაც ამ გულის ბერკითა
ფილტვები გამხმებოა
და შემომოკლებს სიცოცხლეს
უკურნებელი სნებოა.

ა. ბლიკვაძე.

(ფთოსისთვის)

ცუდი დრო დადგა მკითხველო,
გლობას შევესწარ დღესაო;
შიაკვრელი გაგვილომგულდა,
ჩაგრულმა დაიკვნესაო.
სიმართლის ხმალი დაწლუნგდა,
ბოროტის გაიღესაო,
ეშმაკი ტკბილათ ვალობენ,
ანგელოზთ ისმის კვნესაო.
მთვარე ღრუბელმა ჩაყლაპა,

წყვილიდი ჩრდილავს მზესაო,
 სიავის ქარმა გაფანტა,
 რაც სიკეთისამ სთესაო.
 ფერი არ აძვეს ღღეფანდელ
 ჩვენს ყოფა-სიცოცხლესაო,

მუშათ პანდური ჰკრებსაო,
 შეკვეციეს ფრთეთა წვერები,
 მის საქმე-სიავესაო,
 და უძღომელი სტომაჰი
 ფოთიდან აბარგესაო.
 თავ-ბედი დააწყველინეს,
 მუშების მიანე მტერსაო
 და გულ-გასული, ამაყი
 შვილიდევით მოღუენსაო.
 ღღეს კი კვლავ აღსდგა მკვდრეთითა
 შემოზვეული მელაო,
 მუშების დასამარცხებლათ
 რაკი დრო დაიხელოა.
 ცხრასს სამ წელში დამფრთხალი,
 ქურდულათ, ნელა-ნელაო
 ეპარა „როსისს“ მუშებს
 (ერთეც არ დაახელოა).
 და მარდათ კბილი ჩასქიდა
 ვინაც კი დაიხელოა.
 სხვა და სხვა გვარი ხერხები
 იზმარა, არ ეწნელოა,
 წაართვა მუშებს სასაქმო
 სიხარბემ გაახელოა,
 თუ აწ რაიმე შემთხვევამ
 საქმე არ გაუძნელოა.
 თანაც ღლინებს: მომკითხეთ
 ვით უნდა მუშებს წველოა,
 და მათ უფლება-პირობებს
 ფეხითა გადათელოა,
 ხელიდან ლუკმის წაგლეჯა
 იღელა დელი დელოა!
 ზოგ-ზოგი მუშაც ბანს აძლევს,
 რადგან მათ თავში ბნელოა,
 ფიქრობენ: მკირე ნასუფრალს
 ჩვენც ვადმოგვიყრის მელაო.“
 ჩვენც მივეულოცეთ ამ ქორწილს
 სულაც არ გვენადელოა
 ღმერთმა უღმინოს ვედრება,
 აღექსი უღღერძმელოა.
 მითთან არა გვაქვს საერთო
 ისმინე ბეჟო გელოა,
 ჩვენ ცალკე, შეერთებულათ
 დავსძახოთ ორველოაო.
 გულს ნუ გავიტებს ეგ ხვედრი,
 არ შედრკე მით რომ ბნელოა,
 სულ ასე ხომ არ იქნება
 მზეს დაეინახეთ ყველოა,
 და გამოჩნდება ნათელზე,
 ვინც ყოფა გაგვიძნელოა



სტენა ჟ--ის სამრევლო: სკლაშში.

მოკლვარი. მასწავლებლობა მიძიმე საქმეა შვილო
 დიდი ცენი სჭირია!!!
მსურველი მასწავლებლობისა. მინე ამდენი რაა
 საჭირო, მამაო?
მოკლვარი. რაჯორ რა სჭირია შვილო, ჯერ ერთი
 კეთილ-სამედობა, მეოჯუთ კეთილ-მსახურება ღვთისა და კა-
 ცისა, ხოლო სესამეთ და უმთავრესათ 100 ჰანჭარი სამო-
 ნასტრო შესაწირავი.

ჩაიხი უკულმა დაუსხლტა
 ქვეყნის საბრუნე ღერძსაო.
 დრო მოველინა ნ.ნატრი
 აღექსი მელაქესაო,
 რომელსაც ცხრასს სამ წელში

ეშმაკის შეკითხვები.

ქალაქ თფილისას გამგეობას.

ბანებო! მოკსაყნებ თუ არა, თქვენს ჩაგრულებთ მოწვალე და მძებრალთა დამხმარე სახსიერებს, რომ თფილისის ტრამვაის დირექტორმა, შემდგომად თქვენ მიერ ბოძებული ქების ფურცელისა დიდი აღარ დაბეჯინა და ღარიბი ხელის საკეთილდღეოთ ასწია ბილეთის ფასი*) სადღეღობრ: ნაცვლად 5 კანკიკისა შემოიღო 8 კანკიკი. და თუ მოხსენდება რა ღონისძიების ძილებს განკუთრება.



მთელი წლობით მუხლ მორტეკილი შესთხოვდა ქ. თელავი, უზენაესს, რომ მიეხედა მისი გაქირავებისათვის და თუ მთელი არა, ნახევარ—გიმნაზია (პროგიმნაზია) მინც ებოძებია მისთვის, და აი.

როგორც «დროების» კორესპონდენტ-მხარობელი გვაუწყებს, მომავალი წლიდან უკვე დაიწყებს ნაყოფიერ მოქმედებას ყერძო პროგიმნაზია, აღქურვილი მთავრობის პროგიმნაზიათა უფლებებითა.

სწორეთ სასიამოვნო მოვლენა და ეს სიამოვნება მით უფრო გვიცხოველდება, როცა ვტყობილობთ, რომ თუმცა ერთი მხრით შეიკვეცა თელავის მოქალაქეთა სურვილები და გიმნაზიის ნაცვლად „პროგიმნაზია“ უარსდებათ, მაგრამ სანაცვლოდ სწავლის ფული იგივე რჩება რაც სრულს გიმნაზიებსა აქეთ ხოლმე, სახელდობრ 80 კანქარი თელავისა და მისი ახლო მახლო სოფლების ღარიბი ხალხი რა თქმა უნდა ჯეროვანათ ისარგებლებს პროგიმნაზიის ნაყოფითა.

როგორც ხედავთ კახეთის ცენტრი, თელავი, გამოფხიზდა, ანუ უკეთ ვსთქვათ აპირებს გამოფხიზლებას.

*) დირექტორს ალბათ მხედველობაში ჰქონდა: რაკი ფს მოვეუბნებ ღარიბი ხალხი ფეხით წასვლას არჩევს და შაურცი გადაურჩებაო.

და თფილისის «სიფიზილსის საზოგადოება» ჯერ კიდევ ღრმა ძილშია. 6—7 წლიწლია ეს საზოგადოება აღარსად სჩანდა, თუმცა ძველათაც არ ყოფილა მინცა და მინც გამოჩინებული, ამ წინაზე კი, სრულიად მოულოდნელთა ვახვებებმა გვაუწყებს მისი არსებობა, ანუ უკეთ ვსთქვათ, საზოგადოების თავმჯდომარის არსებობა. ის იწვევდა საზოგადო კრებას, მართალია ის არ გამოირკვეულა თუ კრებას რამდენი ფიზიული წევრი დაესწრო, მაგრამ საზოგადოების გამოკაცლებზე რამ ჩამოყარდა ღაბარაკი, ეს უკვე იციან მკითხველებმა.

სამაგიეროთ ის ჯერ ავაზნ იცის, თუ რა პასუხს მისცემს. თფილისის ქალაქის გამგეობა ბნ ეშმაკს, რომელსაც ხელ-მორეთა შვაქს შეკითხვა აღნიშნულ დაწესებულებაში ტრამვის დირექტორის ზოგიერთ განკარგულებათა შესახებ. ერთ ასეთ განკარგულებათ ითვლება ბილეთის ფასის მომატება. სახელდობრ ეშმაკმა აღმოაჩინა, რომ მუშაილიდან წყნეთის ქუჩამდე ბილეთის ფასი ნაცვლად 5 კანკიკისა დაწესდა 8 კანკიკი.

ამ „პატარა“ განსხვავებას ქიხოსრო ქავთარაძე კი წარმოიდგენს, იმდენათ აშკარა და გვიყვირს თფილისის მამებს რა დაემართათ. მართალია „ჩაქარებია სოფელი არავის მოუტამია“ და ისინიც-ნელა ირგებთან, მაგრამ ისიც ხომ მართალია: „ვიდრე პავლე მოვიღოდა, პეტრეს ტყავი გააძერესო.“

თუმცა ვერც მეტის მეტ გულ-გრილობას შევსწამებთ ქალაქის ჭირისუფლებს. ალბათ ამ ფაბთ ბევრი თავსატეხი საქმე უღვათ წინ და არალაყთ სამი კანკიკის“ მომატებულ ხომ არ შეაჩერებენ მოწყალე თვალბს? ეს მით უმეტეს, რომ მომავალ ახალ წელიწადს ქალაქის თვით-მართებლობას მწწლის თუბილცი უსრულდება. ცხადია ამ ბრწყინვალე დღის მოლოდინში ტრამვის მზავრები არ მოაგონდებათ. «თფილისის ფურცლის» სიტყვით ახლანდლ ხმოსანთა შორის შენახულა ერთი კაცი პირველი არჩევნილიდან მოყოლებული ვიდრე დღევანდლამდე.

ღმერთმა სხვებიც შეინახოს!

მარტვი.



უკუი სიღვეთა ახსნა.

(ხაშურისათვის).

სახლი თათბარა—ზოგიერთ ვებატონების სალაპო და ჯერ კიდევ მოუნდებელი საგანი.

საქტაჩი ტავანა—ცრუ მომჩივარი, რისთვისაც თავის ცრუ მოწმეებით სასამართლოდან გარეთ გამოაიხსქნეს...

გადასახლი—სახლი, ჰირი, რომელიც დრო გამოშვებით მუსრს ავლებს სხვილ-ფხვირ-ფხვირ-ფხვირისა და ადამიანზედაც ცუდათ მოქმედობს.

გაზეთები—ბოროტი ადამიანის „ზაკუსკა“, რომელსაც დრო გამოშვებით მიირთმევს ხოლმე ვიღაც ვებატონი საღვურის შკავში.

შაქაბა თაქა—„ეკიმი“, რომელიც ავათყოფს უფრო „ფულებსივან“ არჩენს.

რე. გზის კაფაბა—საარსიყო დაწესებულება.

სამუდარაო სასმარადა—კორესპონდენტების ვინაობის ვასაგები საშვალება, რომელიც ამ ბოლო ხანებში გამოუსადეგარი შეიქნა.

ჭორაქნაბა—ერთობ ვავრცელებული სენი.

შიგაღებული—უსულა ვავი, რომელსაც ცოცხლებზე მეტ ყურადღებას აქცევენ.

ფოსტა ტელ. განტარა—გამოძიების კამერა.

წარგამაზაბა—დაწესებულება, სადაც ღარიბი მოწაფეები იშვიათათ შესდგამენ ფესს.

მხახადფაის დეპო—დაწესებულება, სადაც ჯამაგირების მომატების მაგიერ მუშებს აკლებენ.

ჭამავინის ალაბა—„დარღების ვასაქარველები საშვალება.“

სახაგადა მთავარაბა—„შანტაჟისტების თავდასხმა, ფულისა და ვექსილის გატაცება,

ახლად გაუმჯაყებული.

(ქვემო გურიისათვის)

მეჭკურნა. საოცნებო სტუმრები ზოგიერთა ჯურუყვეთელ აზნაურებისა.

ერთგულა სამსახური. ვ. გიგინიშვილის უჯამაგირო სტრატეგია.

„ჭადა თამსუქა“. ჯუმათელ ქუონიების მიერ გატყუებული პირობა მიწების გაყიდვის შესახებ.

ავტონომია. ჩიბათელ აზნაურების გლეხებისგან გამოყოფა.

უმატონო საქანელა. უმასწავლებლობა და ჩენილი სუფსელი მოწაფეები.

ჭაბგარობა. ნებადართული ხელობა, განსაკუთრებით საუსულელ სიმინდის მოვაჭრეებისათვის.

წრდალაბა. უცხო ხილი მთავარობის მამასახლისებისათვის.

სარწმუნოებას თავისუფლება. ეკლესიაში სტრა-

ენიკების მიერ ძალით ხალხის შედნა და გინდა თუ არ გინდა, დამოკილი ღვთისმეტყველები საღვურაბო. სთავად-აზნაური და საღვურა ბანკის ტყის მცველების პრაგანი (ვერსზე 5 ქან.). მახსენება. სადარბაზო ბაასი ტ. გურიელისა ბოქაულებთან „ქრამოლის“ აღმოფხვრის შესახებ.

კახია.



მოსხმება საზრდელიდან.

გაიგეს თუ არა, რომ მე სარგვზით დავდივარ, დღე ერთი და აუარებელი წერილები მომდის სხვა და სხვა დაწესებულებათა უმაღურ პირთაგან: „გვიშველე, სანამ დროა ჩვენთან რევიზიას შეუღდექო.“

ასეთ საქარო საქმეთ მივიჩინე „აბაშის შეშნა ხველ გამსხებულ ბანკის საქმე. არ დავიყონე და მდინარე ფაზისის მარცხენი მდებარე. სოფ. აზნით საჭკვასოს მზობისკენ ვაგერქარე. ფიქრები გატაცებული, მივიღოდი უცნობ სოფელში და შეიძლება ვერც კი შემემჩნია ორპირის საყდარი, თუ თავმოყრულ ხალხის ქრამული არ გამეგონა. საცოდავ სანახაობას წარმოადგენს ეგ საღვური. სრულიათ დაუზრებო, ხატები მიწგრეულ-მიწგრეული, შემოსილი მღვდელი ცაცხვის ქვეშ ლოცულობდა. მეც პიჯვარი ვადავიწყრე და ცაცხვის ძირზე ჩამოვისვენე. გაათავა ვედრება მოძღვარმა და ჩვეულებრივთ ქუის სწავლებას შეუღდა: „შვილებო! დაიწყო მან; ხომ ხედავთ, რომ საყდარი თავზე ვაღიპება, ამას ვაკეთება უნდა, ხეთის საგომბ საქმეს ნუ ჩაიდისართ. კვირა უქმეებს ვარდა უნდა იართო ეკლესიაზე. ხომ ხედავთ თქვენის ღვგურობით და „უახლოართ“ აყოლით უფალი ვავგირისხდა და შიმშილობა მოგველის. ყოველგან ისწავლეს ქულა და თქვენ რაღა დავემართათ? მოიტანეთ შეილებო საყურთი, როგორც შემწვარი აგრეთვე მოხარშული, დაასრული მოძღვარმა.

გავუღდე ზასს და მივალწიე საღვურ საჭკვასოს. საიდანაც არ იყო, ვადამელობა წინ ანთიმოზ მსრიკამე და ბრძანების კილოთი მკითხა: „თქვენ ვინა ხართ? საიდან მოდინართ? ვის ეძებთ? რა საქმე ვაკეთებთ? ამ ვიცოდით რა უნდოდა, ან რომელ მის კითხვაზე ვამეტა პასუხი.

— მე, ცოცა საქმე მაქვს და იმისთვის ჩამოველ, მაგრამ თქვენ რა გნებათ ჩემგან?

მიათურის ცის ბატონო

II

— პასპორტი გაქვს?
 — გახლავს, ვუპასუხე და მათრახი ამოვატოვე.
 — აი ინებეთ! და გადავცხე მის ცარიელ გოგრას. ერთი „ვიას“ დაძახებულა მოასწრო და სამიკიტროში შეირბინა „სტრანეიკების“ მოსამებნათ. მისდა სამწუხაროთ—ისინი ახალ ფულ მიღებულნი იყვნენ, და ქეიფობდნენ ანთიმოზის თხოვნისთვის მათ არა სცხელოდათ. როგორც გავიგე ეგ ვაჭბატონი დამის ყარაული ყოფილა, თავი კი გენერალ-გუბერნატორათ მოაქვს და თუ ვინმე ხელში ჩაიგდო გადასახლებების დამუქრებით კარგა ღამაზათ იმას უშობა ჯიბეებს სრული დარწმუნებული, რომ მისი ასეთი საქციელი დაუსჯელათ დარჩება.

გავშორდი ამ სახიფათო ადგილს და „ბანკის“ თავმჯდომარის სტეფანე თარგამაძის ნახვა მოვიხლომე. სწორეთ ბედით, ძლიერ საქირო ღამაპრას წააწყლი.

— სად იყავი ივანე? ეკითხება ერთი მეორეს.
 — სადა და იმ დასაქცევ ბანკში ვიყავ.
 — ფულები გამეიტანე ამ საპრაზნიკოთ?
 — რაფერ უნდა გამომეტანა ძმაო; ცხოვრებულ მამაჩემს სტეფანესთვის რომ მოვეწავთვლინებე საქმე კარკა იქნებოდა. იი დაწყვეტილი არც ზუთხის ქერის აბიდი იყო წელს და აბი ისე ვინ ეშმაკი მომაშვებდა ფულს? ხუთი თუმანი მინ დედა, სამი თვეა ვერდიჯბეი, მაგრამ ვერაფერს გავხთი.
 — რავე, რაუყავით ე ფულებშია არ კითხე?
 — რო ვკითხე რაი მერე! ვადმომიგდო რადაც ანგაზიშის ქაღალდიოა და თითონ ბათუმში წაბრძადა.

— მერე დათიკოსთან ვერ მიდი, იგია ბანკის დამცველი და რაზე განაჩნს გამოიტანა.
 — ისე იგი დეიკო ღმერთმა! დამცველი კი არა დამტყვევია. აი ფულები კი შეიტყვემლისკვერენ და ზოგი ქუთაისში წავიდა, ზოგი ბათუმს.


— ყველაფერს დაგჯერებ და დათიკოზე მაგას ვერ დაიჯერებ.
 — არ იც და იგია. მაგი არ ვეირიხე სამედიატორო სამართლის თავმჯდომაროთ? იმისანა ქალბანი შეგამა, რომ თლა მეიქრა ქვეყანაში თავი სხეებიც ბევრი აქ სიგლახე ნაქანარი, მარა ჯერჯერობით ქე შერჩა;
 — ჯაფრი ნუ გაქ, თუ იგიც მაგისანა არ შერჩება. ხომ გაგიფონია „კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს“.

— მაშ დღეს ბანკში არავინა?
 ჩავერიე ღამაპრასში მე.
 — დღეს კი არა მგონი არც აწი იქნება ბატონო.

რალას ვიზამდი იმედ გაცრუებული გამოვბრუნდი უკანეე.

წარსულ კვირას მოგახსენეთ: ქიათურის ნულზე უარესი სანახაობა ვნახე კაპარაშიოთა. დიახ, ვნახე და კიდევ ვიამზობო. ვხედავ აუარებელ ურბებს და ცხენებს, რომლებიც სასწორებს მისდგომან პატრონების ძალდატანებით და ელიან იმ ბედნიერებას, როცა მათ ზურგზე აკიდული საპალნე აიწონება აი დიწყო კიდევ ერთმა „ვესტოვიკმა“ ქვის წონა! აქვე დგას გაშვებულ-გამბურული მელოზე, რომელიც გულის ფანქარით ელის ვაიგოს, თუ რამდენი ფუთი ქვა ჩამოიტანა. ყველაფერი თითქოს რიგზეაო: ქვა აიწონება და სხვა ასეთი. მწონელი გაღვლეტილადე იძახის: 30 ფუთიაო; მუშა დაღვრემილი იტკირება და რა ქნას არ იცის: თვითონ წონა არ იცის და რომც იცოდეს ვინ ააწონინებს. „წაიყვანე კაცო ურემი, გამცილეს!“ ვიძახის ამაყათ ისევ ვალეტულიადე და მეორე ურემს ათვალთვლებს. მარა ამ ღროს თითქოს მოჩიდან ამოძე რაო, საიდანაც იყო გაჩნდა კანტროლიორი. „ვიამე, ბიქტორ მელიქოვიო“ ერთი კი მოასწრო გაღვლეტილადე და პირს ღმილი დააკვდა. მოაბრუნეს აწონილი ურემი და 30 ფუთი ქვის მაგიერ 45 გა მონდა. ვაბაწრეს ვალეტულიადე, მისწიეს, მოსწიეს, აყენებენ ოქმს, ის კი ლუარსაბ თათქარიძესავით აზრდაბნეული იძახის: „ალბათ მოუკლებდა ქვას, თორემ მე 30 ფ. აწუნეო“. ბოლოს რო არაფერი გაუღის, აზბობს: რა ვქნა, ხაზინმა იმ პირობით ამიყენა, რომ თუ მუშას წონის დროს ქვა არ მოპარე, არ დაგაყენებო. მარა ეს ხომ ვერ უშველის საქმეს, არ ცხრება ბიქტორი, აშანშაღებს პროტოკოლს. „ა ბაქო ბიქტორ, ნუ დავგულუპავ ამხანავს და ფული აიღე, რამდენიც გინდა“, —ესევიან კანტროლიორს ვალეტულიადის ამქრები. მარა არაფერი გადის, ჯიუტი მელიქოვი თავისის არ იშლის. მართალი ვითხრა მთელი კი ყოფილა ეს მელიქოვია თუ ვიღაცა. მე რომ იქნა ასიგნაციების ტრიალს ვუყურე, მაინც კი დამძლევდა ჩემი ეშმაკური სენი, სადაც უნდა ყოფილიყო! იმ ფულებს ჯიბეში ვარგვივბდი თავს და ვალეტულიადემებს მერე თავი ვეთქათო. უცებ ეს სანახაობა გაქრა და სხვა რამ იხილა მონამან თქვენმან, ამას კი ელოდეთ შემდგისათვის.

კონტრ-ეშმაკი.



ნაჩილუბი უშვანოსადმი

ტეს მის შემდეგ, რაც რომ მისი შემწევობით ბებუ-
რის პოზიცია საშინლად ,,გამაგრდა.“ რაც მართა-
ლია—მართალია!

ჯილბი.

ოზურგეთი. ახირებული ზნე დასრემდათ ჩვენს მოქალაქეებს: კატამ რომ კული გააქანოს, ბოქაუ-
ლთან გარბიან მიზნების გამოსარკვევედ. ყველაზე უფრო ამ სენით თაკა სალუქეაქი გვაყავს ავათ. უკანასკნელმა ამბებმა მაინც ძლიერ გავციტელქა ღირსეული მოქალაქე ოზურგეთისა.

ადგილობრივი ციხიდან საშინელი ამბები გვესმის. ცნობილ მფამოხეთ: ე დლოძიქს და ა. ელი-
აქს უსამოსლოთ „მაზურკას“ ათამაშებენ თურმე „კარტოენიკები.“ ეს უკანასკნელნი საკოდავ მოხუცებს ეშვაკებთ ევლინებთან და ეუბნებიან: ძლიერ დიდი კოდვების პატრონი ყოფილხართ და ეშვაკე ბიკ მიტომ შემოგაკოლიათ ცხეშიო. საწყლებს შიშით სულ არ სძინავთ თურმე. ვაეკით ბრძანება, რომ ესენი „ლე ეშვაკები“ არიან და იქნებ უბედურთ ძილი მიეკაროს.

გუშინ სამოქალაქო სასწავლებლის წინ ნახეს სამი ერთი მეორეს მსგავსი საუნები: დიდის ხნის ბრუნების შემდეგ გამოირკვა, რომ ეს საუნები ყურების ნახევები ყოფილა. ერთმა მოწაფემ კიდევაც იცნო თავისი კუთვნილი. აილა, გაასუფთავა და ტირილ ტირილით წაილა სახლში მშობლების საჩვე ნებლადა.

აქაურ პროგრესიულ თვითმართველობის მდივანს — ივლიანე მჯავახელს, აზრათ აქვს ქალაქის მამების კრებაზე შემდეგი განცხადება შეიტანოს ,,მე არ ძალმიძს სამი მოვალეობა: — კისრობა, ხაზინდრობა და მდიუნობა შეეისარულა. ჩემი მოვალეობა იყო და არის მხოლოდ და მხოლოდ ხაზინდრობა, რომელიც წესის მაძლევა და მაძლევს თავისუფლად მიემსქნა ქალაქის კასა.“ თურმე ივლიანეს ძლიერ აკვირებს ბებურის შეუბრალებლობა, უმე-

ხად. შორაპანი ძმო ეშვაკო! შენს მათრახს ძალა მოუვიდა მეტის მეტი ენვეით, მაგრამ ყველა-
საგან მოძულეულს შენს იქით გზა არა გვაქვს .. საქმე იმაშია, რომ აქაურმა „დედურნი აგენტმა“ — ბ. ბარამიძემ დაიფინა: „მე რაც ვიყავი, ის აღარა ვარო“ და ამიტომ, ყველას (რასაკვირველია „წვრილფემა“ მოსამსახურეებს) რაც არ ეყარება იმას ელამარაკება და როგორც არ^{მე} შეეფერება (რასაკვირველია პატროსან კაცს) ისე ეყარება.

ბ. ბარამიძე რაც უნდა ის იყოს, ამას ჩვენ არ ვედავებით, მაგრამ როდესაც ის უკადრისი სიტყვებით გვებება — ამას კი მივაქცევთ, თქვენს ყურადღებას და ვთხოვთ, შესთავაზოთ მის პატივცემულ ზურგს, ოცდაათი კული მათრახისა რომ შემდეგ მაინც ისწავლოს მოპყრობა „წვრილ-ფეხებისადმი“ .. მისივე.

დღი ჯიხიაში. ამბ. ეშვაკო! არც ისე შორს არის ის ღრა, ჩვენ რომ პოპიტელი გვეწვია. რაც ჩვენში სურო და ყვაილები მოიძებნებოდა, ყველა კედლებს მივაქედეთ სადილიც გაუმართეთ სკოლაში. ამა ჩვენ რა სხვებზე ნაკლები ვართ, რომ მათ ჩამოვჩენოდით! სადილზე რჩებიტ ვუთხარით. ერთმა ბიჭავ ხალხის „გულშემატკივარმა“ შეაწვი-
რამ სხვათა შორის უთხრა: Вашим приездом Вы доказали народу, что н о них заботятся.. Ваш приезд крупными буквами будет отмечен на скрижалях нашего сердца-ო ორი ევი-
რის შემდეგ უმაღლესი მადლობაც მივიღეთ. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ქონდა: აქი მიინდ ალარ ჩავითვლიან ,,კრამოლნიკებით“ — თქო, ვეჭვირობ-
დით, მაგრამ მალე! ძლიერ მალე შევეცევალა სიხა-

რული მწუხარებით. კვირას გამოვიგზავნენ მთავრობის მამასახლისი. აი ასე ხანმოკლე შეიქნა, ჩვენი აღტაცება! თურმე ისევ „ოპალაში“ ვყოფილვართ. და ეხლა კი რაც ამ წელიწადში „კატერინები“ გადაყლინწეს კანცელარიას „თავებმა“, იმის ამოგების იმედიც გავვიქრა.

ამის გარდა ერთი სათხოვარი საქმეცა მაქვს და ავიტყულებ შენი ჰირიმე! მანდ, გოლოვინის პროსპექტზე, შეხვდები მოსიერე ექიმ ვაშაკიძეს და მასწავლებელ კობრიძეს. გააჩერე და უთხარი: თქვენ აქ დასეირნობთ და თქვენ კიშტებზე კი, (ჯიხაიში) ყოველ დღე თითო კაცი იხრჩობა ტალახში. საჭიროა მისი გავეთებათქვა.

არწივი.

თიანეთი, ჯერ მოწიწებით ვემთხვევი
ემშაკის სახარებასა,
უტყუარს, თანაზიარსა,
აღვიტყვი აღსარებასა...
ემშაკის მართულ ჩონგურსა
შეუღღამ ზეიკიპნტრესა;
სიბრძნის მოვისვამ გვერდითა,
მოყასმენ ოჩიპნტრესა!..
ძაღს დავქსავ საიდუმლოსა,
გავკრავ გამოკვრავ მაქოსა;
მე მინდა ჭკვიანს ეწეინოს,
და უგზურმა მქეოსა!..

* *

აი ეს მხარე:—ეს შიგნი
ქერაბიშნავით ბრწყინავენ;
ზაფხულში ნიაგს აკრევენ,
ზამთარში არა ჰყინავენ!..
სამოთხესა ჰგავს სოფლები:
სინათლე შესდის ყველასა,
ვერსად შეხვდები ნატამალს,
სახანს, სურდოს—და ხველასა!
და თუ ამ ზამთარს,—ყვავილი,
ქუნთორულა შემოესია,—
რა ვუკთ „ბატონებია“
უფლის ნება და წესია!—
დასტური სუფევს ყველგანა,
„ჰო!“ ბედის კარგი ნემსია!..
ექიმოცა გვყავს, მედიკი,
წინ-სამკითხველოს მწყემსია;
პირდათ სარფა არ მაქვს,
წითების საბალახესა;
და „სხვებმა“ საიალახე,
იურაცხეს ვადლობესა!..
სკოლები რა მოგახსენოთ,
ამ უამათ ცარიელია,
„სახადი შჩრუნველებისთვის
დღეს კი კივტსამბელია!..
მადლი უფლისა, ხომ ვამბობ,
ჩვენს მხარეს შემოსჩვევია;
თეთრი და შავი აქ ერთობს,

არავის გაურჩევია!..
ცხვარი და მგელი ერთმანეთს
ლა-მურათ გადახვევს
რაყუთო, საცა მთა არის;
იქ მუღამ ღონტე ხვეია!..
მუნ მახარავეტიც ხომ „გვაქვენს“
უფლის ნათლულის ნეკია,
არ არის ჯოგი, ჯიუტი,
ავ ხორცი მტის-მტეია;
ის ჩვენი მოსამართია,
ბედის საბრუნი ლოღვია
და მისი მწარეცა განამლც,
შაქარზე უფრო ტკბილია!!!

* *

ყველაფერი უფალს მოაქვს!—
არცა გვიცავ, არცა გეშია;
„ინტელექტი“ ბლომათ გვიღდა
რუმბებში და ჭვევრებში!..
პრინციპს წყალი გადავსხით,—
ქარი სჭირდა ფეხებში!
და წიწილებს ვინ დასჩეკდა,
მის ჩაფუტნის კვერცხებშია!?
ქვას ერთმანეროს როლი ვესვრიო
მიზანს ვუღებთ კუხებშია,
ბედის სტოლზე დავუსწავით
არ ჩავგავდებს მწუთხეშია
როდის გენახეთ ეხლა ვიყოთ
ავ ყოფაში, ცულღევიშა?
ქრისტეს ნდობა-სიყვარული
ჩვენთან არის დღე მუღამა
რას დავგავლებს იფუნდრუკოს
ჩვენს გარშემო იუღამა!..

* *

ჩვენ ღმერთი გვყავდეს ცოცხალი
ყველა იმისი ნება,
წმინდათა-წმინდა პირჯვარი
მორჩილი მოთმინებაა
და ქანაანიც ეს არის
ცხნოვრობთ და ნეტარებაა,
ოდესღაც იქნებ ახალი,
დღეს ყველა ძველი მცნებაა...
ეხლა რაღაცას გვასმენენ
ტრატა ვერმიცანები,
ახალი მოდის მკითხავნი
ცხნოვრობის დვრითასა
ვითომ ვიღაცა ვერომა
ნათლიობასა გვპირდება...
სხვისა არ გვინდა, თავისიც
ბევრი გვაქვს, არა გვეკრდება.
ისეღაც დიდი მადლი აქვს
ჩვენი ცხოვრების დვრითასა
ყურს არ დაუღდებთ, ვერ გვაქედნს,
ჩვენ იმის „ატა-ჯიტასა“!
ჰო, ვამბობ ყველა ასეა,
როგორც მეუფეს სწადიან
და მისი მადლით ჯერაცა
ჩვენში ორფეხში დადიან!..

ბედის სამკურსლურს რათ უნდა
 გრდემლი, მარწყობი, კვერია,
 დრო თვითონ სკედავს და მეტრ
 რა გვიინდა, ესეც ჯერია.
 ჩვენ მარტო იმედს დავართავთ
 და ვაცხოზთ ბედის კვერასა.
 რათ გვიინდა, თუ რა გაათბობს
 ჩვენს ვაციგებულს კერასა.
 რაღა ესთქვა, ანა რაღა ესთქვა
 დავყურებ მაღლის გორასა
 ქება-დიდება მამონას
 მაღლობა ტერპსიხორასა!..

ვიან გარი.

ახალ-სენაკი. ახალ-სენაკს მოველო

ახალ მოღის ქირია,
 მორჩენა ვერ შეიძლეს
 დახმარება სჭირია.
 ექიზობას ჩემულობს
 ლოტო, კარტი, ნარღია
 და ლექციებს კითხულობს
 მწვანე ბილიარღია.
 ყურნალ-ვახუთებისა
 აღუკრძალავთ მათ კითხვა:
 პაციენტებს უბრძანეს
 ნაბად-ქუდის გაყიდვა.
 კარტო, ფერი იცვლევ,
 კამათელო, დაბრუნდო,
 ბილიარღო, გენაცვა
 არ ამხადო დღეს ქუდი.
 ეშმაკო დამეხმარე,
 მოხედე ამათ ქირსა
 და მწველ მათრახის კუღსა
 მათ ნუ გაუხედი ძვირსა.

გ. ა. ტანუელი.

დიდი ჯიხაიში. ძმაო ეშმაკო! ერთ დროს
 შენი მათრახით მირონ-ცხებული მოძღვარი მოსე,
 დღეს კვალად მოითხოვს უეშმაკუღისის კურთხე-
 ვას. ჩვენი სამრევლო სკოლის ბედი მის ხელთ
 არის. კეთილი მოძღვარი ქვეყანამ იცის რომ „სა-
 უკეთესო“ პედაგოგიც ბრძანდება და მისდ-მი რწმუ-
 ნებულ სამრევლო სკოლაში მასწავლებლობის მსუ-
 რველთ ძლიერ გარჩევით ეპყრობა. მიუხედავით
 იმისა, რომ ჩვენს ღვთის მშობსაებს თმა გრძელი
 უნდა ჰქონდეთ, ის ღლიერ უფრთხის გრძელ თმო-
 სან უმასწავლებებს და ერთრის გრძელ ჯიბოსნებს.
 პედაგოგის ღირსების დასახზომით მისი შეხედულებ-
 ბით „სკამარისა“ 100 ქანქარი სამონასტრო“.

ს.სიოს.

ყვირილს. ძმაო ეშმაკო! დავალებული მაქვს
 შენს წინაშე წარმოვადგინო უქვეშევრდომილესი
 თხოვნები ყვირილის რაიონისა.
 მაშ გვისმინე:
 ყვირილის „მოქალაქენი“ გათხოვენ, რაც შეი-

ძლება მალე დაუბრუნო მათ კოლანდამის ცირკი,
 ეს სულიერი საზოგადოებრივი მოძრაობის
 კლუბის შენობა მოითხოვს ჩერი კვირის დას-
 ვენებას აურაცხელ მოკარტ მონარღეთა თავდასხმი-
 სავან

სათეატრო დარბაზს სურს თფილისში გადა-
 სვლა, რადგან იქ სახალხო უნივერსიტეტის სექცია
 ბინას ეძებს და აქ კი მას არტისტები ყავს საძებ-
 რათ.

თითონ დაბა გათხოვს გახადო ღირსი ვაქალა
 ქებისა, რადგან კარგა ხანია სრულ წლოვანი შე-
 იქნა.

თუ შეისმენ ამ უქვეშევრდომილეს თხოვნებს,
 მთელი ყვირილა ჯოჯოხეთის ბატონობის ფრთეთა
 ქვეშ დაადგება.

საქარელი მ.

სოფ. კაცბი. ჩვენი მღვდლის ამბავს ნუ მკითხავ,
 ან კი რა საკითხავია?
 მკვდარსა და ცოცხალს ერთ გვართ
 შეგვიამასქნა ტყავია
 მიუხედავით ამისა
 (ეს თქვენი მოესავია),
 ცდილობს სხვადასხვა თხოვნებით
 მრევლს შეაყვაროს თავია.
 სად გავგონილა ეშმაკო,
 ასეთი სამართალია?
 ძალთა ცხონება ხუცისა
 ვინც დავგვინელა თვლია?
 არა, უთხარი გენაცვა,
 რომ გაქო ძველი ყამია,
 და თვალთ მაქცობით სოფელი
 დღეს ძნელი მოსაქამია.

ჩიკორტელი.



მათრახის ფოსტა.

დაუქვედავი მახალა რედაქციადან არაგვის არ
 დატბრუნდება.

საღამო. სამსონს. შესწორება შეუძლებელია, დაბეძღვა
 მით უმეტეს.

ფოთი. ილღს. არ დაბეძღვა მესამე პუნქტის ძალით.

ხონი. პლუბეი ეშმაკს. სულითა და გულით გვიდა
 თქვენს პოეტურ ნიჭს გზა გავუხსნათ მკითხველისაკენ და არა
 სარედაქციო გოდორისაკენ, მაგრამ თქვენ დმკინებით მიილ-
 ტებით ამ უკანასკნელისადმი. აი თუნდ ისმინეთ:
 „სურს ავიწერო ილარიონის
 დღემანდელი მიიი ფერი და კანია
 და შევადარო წინანდელს
 მისი რწმენა და იღია“.

მართა აწერის სურვილი რომ კაროდეს თქვენს ბედს ძალი არ დაჰყვოდ.

საჯანჯანო ჯოჯობეთელს: გთხოვთ განაგრძოთ.

ფოთი. „ღო“-ს ცოტა მარილი აკლია.

მგიზნათი, მამლაჯინწას, თქვენი ყვილით სოფელი არ აზინდება.

საბაში, ხ. მე-ლს. თქვენს წერილს წერია: „ეს მე გთხოვთა. მართალია პირად არ გიცნობთ, მაგრამ არა-ცოთარი იტვი არ გვებადება.“

სინდანი, მგალობელს, თქვენი მისალოცო ლექსი არ დაიბეჭდება, ვინაიდან ქრისტეს აღსაგადამსოჯარ ერთობ დიდი ხარია.

სუფსა, დარაჯს. ჩვენი ჟურნალი ქართულ წერილებს ბეჭდავს, თქვენი ენა კი ვერაინ გ იკო.

ხიდისთავი, მაჩეს. უფრო თქვენს ნამდილ მაჩეთას დავიცაგრებთ, ვიდრე ამ ამბავს.

საჯანჯანო, ტუკუსელს. რა გაქარებთ, რომ მიიღებთ მერმე დიწყო მთელობა.

ვალიწადი 1910 წლისთვის მ მ მ რ ა ე

მიიღება ხელის მოწერა უთვალ-პვირეულ იუმტრისტულ ჟურნალში



ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს ავეის-ტოს პირველი რიყსებში ჟურნალთან ერთად

პრემიით გაეგზავნება ახალი პრემიული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარ-შოები და სხვა. რაგვარც დრეინაჯუი ისე სათარგმნი.

წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ელირება 1 მ.

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის სრულად უნდა აუთილაგალოთ **ფაშობიანო** პირადელ **იგნისაშღ**. ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: პირველად 2 მ. 50 კ. დანარჩენი 2 მ. 50 კ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა იმეფ ფორმატით და იმეფ ში-ნაარსით, რელაქცია ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიიღებენ: **საბანა, ბლიგვაძე, კახიას-კარელი, კუმაჯი, ვოდეშვილი, ზომალეთელი, აურდოს-ზირელი, ახსამანი, კეცტი, ლენსუძე, მადეჭაშვილი, ზაჩნა, ტ. რამაშვილი, რუსაძე, რუსაჯი, ტუქსამუჯი, ფონ-ტეფო, ქუჩიშვილი, შესავლას და სხვანი.**

ჟურნალი წლიურად ღირს 5 მ. თვიურად 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: **თიფლისი Типография Т-ва „Промта“**
Василию Карамановичу Болквადзе.

